საქართველოს მთავრობის

დადგენილება №337

2021 წლის 8 ივლისი

ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2019, 300310000.10.003.021272) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების“ მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^2 პუნქტი:

„4^2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვას ან/და მშენებლობის შეტყობინებას არ საჭიროებს გარე რეკლამის განთავსების ნებართვ(ებ)ის გაცემისათვის გამოცხადებული აუქციონით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე აუქციონით გათვალისწინებული მახასიათებლების მქონე გარე რეკლამის განთავსება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**